ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №43

15.05.2020

თბილისი, თავისუფლების მოედანი №2
14:00 საათი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
3. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
4. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი;
5. მიხეილ ამაშუკელი – კომისიის წევრი;
6. დავით რურუა – კომისიის წევრი;
7. ირაკლი ნადირაძე - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციისა და ინტეგრირებული ავტომატიზებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად“ გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების (C37466/1413/9665) დანართი B-ში (საკონსულტაციო კონტრაქტი) ცვლილების შეტანის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ (12-03200972-03; 06.04.2020);

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135 - 135^2 მუხლებით, 135^3 მუხლის პირველი ნაწილით, 135^4 და 135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ (12-032013544-03; 14.05.2020).

სხდომას თავმჯდომარეობდა - თედო ისაკაძე.

მომხსენებლები:

- **დავით ჯაიანი** - სსიპ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე;

- **ვასილ აბულაძე** - სსიპ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს“ უფროსის მოადგილე;

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

თ.ისაკაძე - საკითხების წარმომდგენებს ვთხოვ გაგვაცნონ დღის წესრიგით გათვალისწინებული პროექტები.

ი.ნადირაძე - დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე მსურს გავაკეთო განცხადება მეტროს რეაბილიტაციასთან დაკავშირებით. გასული წლის გაზაფხულზე დაანონსდა, რომ იწყებოდა მეტროს სავენტილაციო სისტემისა და კაბელების შეცვლის პროცესი. აღნიშნული სამუშაოების წარმოების მიზნით თანხა, 15 მლნ დოლარის ოდენობით გამოყო აზიის განვითარების ბანკმა. ტენდერი გამოაცხადა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა და მასში გაიმარჯვა თურქულმა კომპანიამ, რომელმაც ქვეკონტრაქტორებად აიყვანა ამ სფეროში გამოცდილების არმქონე და მათ შორის ახლად დარეგისტრირებული კომპანიები, ჯამში 4 კომპანია. საინტერესოა, როგორ მოახერხებენ ეს კომპანიები შესაბამისი კვალიფიკაციის არქონის გარეშე, ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების სრულფასოვნად შესრულებას.

თ.ისაკაძე - თავადაც აღნიშნეთ, რომ ტენდერში გაიმარჯვა თურქულმა კომპანიამ, რომელსაც აქვს შესაბამისი ცოდნა და გამოცდილება ამ სფეროში. რაც შეეხება ქვემოიჯარე კომპანიებს, მათთან ხელშეკრულებები დადო არა სახელმწიფომ, არამედ ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ და თქვენი კითხვების ადრესატიც სწორედ ის არის.

ი.ზარქუა - საუბარია აზიის განვითარების ბანკის პროექტზე, რომელზეც ტენდერი გამოაცხადა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა და მასში გაიმარჯვა თურქულმა კომპანიამ. რაც შეეხება თქვენს მიერ დასახელებულ კომპანიებს, მათ შესაბამისი ხელშეკრულებები გაუფორმა თურქულმა კომპანიამ და როგორც უკვე ითქვა, ლოგიკურია რომ პასუხი თქვენს კითხვებზე მათგან უნდა მიიღოთ. მისასალმებელია, რომ მეტროში მსგავსი ფართომასშტაბიანი სამუშაოები ხორციელდება, რისთვისაც მადლობა აზიის განვითარების ბანკს.

თ.ისაკაძე - გადავიდეთ დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე.

1. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციისა და ინტეგრირებული ავტომატიზებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად“ გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების (C37466/1413/9665) დანართი B-ში (საკონსულტაციო კონტრაქტი) ცვლილების შეტანის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ (12-03200972-03; 06.04.2020):**

დ.ჯაიანი - მოგესალმებით, როგორც მოგეხსენებათ, საკრებულოს 2018 წლის 6 მარტის №36 განკარგულების საფუძველზე, თბილისის მუნიციპალიტეტსა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის 2018 წლის მარტში გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება. ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 15 თვე.

ხელშეკრულების მიზანია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს დაეხმაროს მთლიანი ქალაქის საავტობუსე ქსელის შესწავლასა და რესტრუქტურიზაციაში, ასევე ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების მოდელების დამუშავებასა და ერთიანი სისტემის შექმნაში. ჯამში პროექტის ღირებულება შეადგენს 790 000 ევროს. საიდანაც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გრანტი შეადგენს 490 000 ევროს, ხოლო 300 000 ევრო გამოიყო თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

2019 წლის 24 ივნისს სისტრა-სპექტრუმის კონსორციუმმა წარმოადგინა ხელშეკრულების ცვლილება საგრანტო ხელშეკრულებაზე თანდართული საკონსულტაციო კონტრაქტის (დანართი B) ვადის გახანგრძლივების და შესაბამისად შესასრულებელი დავალებების ჩაბარების ვადების ცვლილების თაობაზე. ხელშეკრულების ცვლილებით, საკონსულტაციო მომსახურების ვადად განისაზღვრა 2019 წლის 29 ნოემბერი.

ამჟამად წარმოდგენილი განკარგულების პროექტის თანახმად, საგრანტო ხელშეკრულების (C37466/1413/9665) დანართი B-ში (საკონსულტაციო კონტრაქტი) კვლავ შედის ცვლილება და დასრულების თარიღად განისაზღვრება 2020 წლის 15 აპრილი.

თ.ისაკაძე - განკარგულების პროექტთან დაკავშირებით კომისიას გააჩნია ტექნიკური სახის შენიშვნა. კერძოდ, განკარგულების პროექტის დასახელებაში, ასევე ტექსტში მითითებულია „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციისა და ინტეგრირებული ავტომატიზებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად“ გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების (C37466/1413/9665) დანართი B-ში (საკონსულტაციო კონტრაქტი) ცვლილების შეტანის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

კომისიას მიაჩნია, რომ მოცემული ჩანაწერი უნდა დაკორექტირდეს და შესაბამისობაში მოვიდეს განკარგულების ამჟამად მოქმედ რედაქციასთან.

შესაბამისად, ნაცვლად ზ/ა ფორმულირებისა უნდა მიეთითოს: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკს შორის ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციის და ინტეგრირებული ავტომატიზირებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად“ გაფორმებული გრანტის ხელშეკრულების (№C37466/1413/9665) დანართ B-ში (საკონსულტაციო კონტრაქტი) ცვლილების შეტანის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ.

გარდა ამისა, განკარგულების პროექტში არ არის აღნიშნული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების ნომერი და მიღების თარიღი. შესაბამისად, განკარგულების პროექტის პირველი აბზაცი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: ,,საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, მე-100 მუხლის მე-7 პუნქტების და ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციისა და ინტეგრირებული ავტომატიზებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად" გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების (N C37466/1413/9665) დანართი B-ში (საკონსულტაციო კონტრაქტი) განსახორციელებელ ცვლილებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან თანხმობის მიღების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 2 აპრილის N20.397.512 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა: ..."

დ.ჯაიანი - შენიშვნები მისაღებია და არ ვართ წინააღმდეგი რომ მოხდეს პროექტის კორექტირება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (კენჭისყაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ექვსმა წევრმა. მომხრე - 6; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის ავტობუსების ქსელის რესტრუქტურიზაციისა და ინტეგრირებული ავტომატიზებული მგზავრობის საფასურის შეგროვების სისტემის შესამუშავებლად" გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების (C37466/1413/9665) დანართი B-ში (საკონსულტაციო კონტრაქტი) ცვლილების შეტანის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-03200972-03; 06.04.2020) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

  2. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135 - 135^2 მუხლებით, 135^3 მუხლის პირველი ნაწილით, 135^4 და 135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ" (12-032013544-03; 14.05.2020):**

თ.ისაკაძე - დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხს წარმოგვიდგენს სსიპ ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს" უფროსის მოადგილე, ვასილ აბულაძე.

ვ.აბულაძე - მოგესალმებით, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135-135[5] მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება ენიჭება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის განვითარების სააგენტოს". ასევე, მტკიცდება სპეციალური წესი (წესს თან ერთვის 2 დანართი, საჯარიმო ქვითრის და ელექტრონული საჯარიმო ქვითრის ნიმუშები).

პროექტით ძალადაკარგულად ცხადდება საკრებულოს ორი დადგენილება, რომელთა საფუძველზეც, კოდექსის ზემოაღნიშნული მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენის უფლებამოსილება ჰქონდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (კენჭისყაში მონაწილეობა მიიღო კომისიის ექვსმა წევრმა. მომხრე - 6; თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- **„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 135 - 135[2] მუხლებით, 135[3] მუხლის პირველი ნაწილით, 135[4] და 135[5] მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვა ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი (12-032013544-03; 14.05.2020) განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.**

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თედო ისაკაძე